რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

**ეკატერინე პეტრეს ასული პეტრიაშვილისა** შვილებითურთ და **ზაქ. ივ. ჩხიკვაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, მეორენი მამისა, ხოლო მესამე ძვირფასის სიმამრის დეკანოზის სიონის ტაძრის კლიუჩარის **გრიგოლ მოსეს ძის პეტრიაშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ სიონის გალავანში დილის 9 საათზედ. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ პეტრე-პავლეს ეკკლესიაში დასაკრძალავად.

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ბუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ბუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ).

## რედაქციისაგან

დღე ყოველ მოგვდის თხოვნა ახალ ხელის-მომწერთაგან, ძველი ნომრები გამოგვიგზავნეთო. ბევრი გვთხოვს პირველი ნომრიდგან გვინდა გაზეთიო. რადგანაც სათითაოდ წერილის მიწერა ყველასთან მეტად ძნელია, ამიტომ ვაცხადებთ, რომ 20 ნომრამდე გაზეთი სულ გავიდა და რედაქციას აღარ მოეპოვება. ახალი ხელის მომწერნი მხოლოდ 20 ნომრიდგან მიიღებენ გაზეთს, ხოლო ვისაც ამ ნომერს შემდეგ შიგა და შიგ თითო-ოროლა ნომერი დაჰკლებია, ფოსტისა თუ ჩვენის ბრალით, ვთხოვთ შეგვატყობინონ და დაკლებული ნომრები დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ.

## ქართული თეატრი

**კვირას, 24 ნოემბერს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

### ურიელ-აკოსტა

ტრ. 5 მოქმედ. თარგ. ბაქრაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ივანიძე, კუნდელი, ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ განიზრახა მუდმივი ქართული ხოროს დაარსება, რისთვისაც უკვე მოწვეული ჰყავს ამ საქმეში კარგად დახელოვნებული პირი. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ხსენებულს ხოროში, მობძანდეს ხმის გამოსაცდელად „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ორშაბათობით და ხუთშაბათობით, საღამოს 5—7 საათზედ.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

18 ნოემბერი.

**სოფია.** არჩევანების დროს, დილიდგანვე შეიკრიბა ოპოზიციის მომხრე ხალხის ბრბო და სცდილობდა არეულობა მოეხდინა, რათა მერე ეთქვა, არჩევანები თავისუფლად არ მომხდარაო. არჩევანები წესიერად დაიწყო. სასახლის მოედანზე მოგროვდა ხალხი, რომელსაც საარჩევნო კენჭი არა ჰქონდა; ამათში მოსწავლე ახალგაზრდობაც ერია. ცანკოვმა საარჩევნო ბიურო მიატოვა, სადაც ამომრჩეველნი ყვიროდნენ: „არ გვინდა ცანკოვიო!“ ბოლოს საარჩევნო ბიუროსთან თავი მოიყარეს მთავრობის მომხრეებმა, ქვის სროლა დაუწყეს ბრბოს და უკუ აქციეს. სხვა უწესოება არა მომხდარა რა. პროვინციაში არჩევანები მშვიდობიანად მიდის. ახალ ზაგორის გარდა უწესოება არსად მომხდარა.

**სოფია.** მთავრობის დასმა გაიმარჯვა. 160 ადგილიდგან ოპოზიციას 15-ზე მეტი არ ერგება.

**ბომბეი.** ბაროდში, ვიცე კოროლის პატივსაცემლად გამართულ დღესასწაულზე უბედურება მოხდა. ხალხის ორი ბრბო ერთს ვიწრო გასავალში ერთმანერთს შეხვდა. 29 კაცი მოკვდა და მრავალი დაშავდა.

### დაგვიანებული დეპეშა.

17 ნოემბერი.

**კარმო.** 17 ნოემბერს, შუადღისას ჩამოვიდა ჟორესი ათ სოციალისტ დეპუტატთან ერთად. მიღებულ იქმნა მრავალი ზომები, რომ არავითარი არეულობა არ მომხდარიყო. როცა დეპუტატები ვაგონიდამ გადმოვიდნენ, აუარებელმა ხალხმა სტვენა და ყიჟინი დასცა. რამდენიმე კაცი დეპუტატებს ესროდა ყოველგვარს უწმინდურებას. როგორც იყო დეპუტატებმა პოლიციის მფარველობის ქვეშ მიაღწიეს კლუბს, სადაც მათთვის ნადიმი იყო გამართული.

**კარმო.** სტვენისა, ყიჟინისა და ჩხუბის გამო სოციალისტ დეპუტატებმა ვერ გამართეს თავიანთი ყრილობა. ჟანდარმებმა, როგორც იყო, კლუბის დარბაზიდამ გამოიყვანეს ხალხი. როცა ჟორესი სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, ქუჩაზე დიდი შეტაკება მოხდა და ჟანდარმებმა ძლივძლივობით გაფანტეს მოჩხუბარნი და ბევრნი შეიპყრეს კიდეც; სხვათა შორის მერად ყოფილი კალვინიაკიც, რომელსაც პირისახე მთლად დასისხლიანებული ჰქონდა.

**ბელგრადი.** 16 ნოემბერს უსკუბში გარდაიცვალა წვეთისაგან საბერძნეთის მიტროპოლიტი მეთოდი.

**სოფია.** 16 ნოემბერს სამხედრო მინისტრი პეტროვი სადარბაზოდ იყო მთავართან, სადაც დაჰყო დიდი ხანი, მეორე დღეს პეტროვმა კვლავ მიართვა მთავარს დათხოვნის ქაღალდი. პეტროვს ებოძა გენერალ-მაიორობა და ჩაირიცხა ზურგის ჯარში.

## კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამოსწავლო ოლქი.

სტატსკი სოვეტნიკის ჩინი ებოძა: ქუთაისის სასტატო სემინარიის მასწავლებელს კოლეჟსკი სოვეტნიკს უთურგაულს.

ნადვორნი სოვეტნიკის ჩინი ებოძათ: ქ. ყუბას სამოქალაქო ორ-კლასიან სასწავლებლის უფროსს და მასწავლებელს გამრეკელს, გიორგიევსკის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს მესხს, მოზდოკისას—ბაქრაძეს და ბათომის ოთხ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელს ჯაყელს.

ტიტულიარნი სოვეტნიკის ჩინი ებოძათ: თემრიუკის სამ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელს ბერიძეს, ნახიჩევანისას—მამულაიშვილს, განჯისას ხარაძეს და დუშლაგარის სოფლის სასწავლებლის მასწავლებელს თავ. ლიონიძეს.

კოლეჟსკი სეკრეტარის ჩინი ებოძა ტფილისის პროგიმნაზიის მასწავლებელს—ჯვარიშეიშვილს.

კოლეჟსკი რეგისტრატორობა—მუჟალის სასოფლო სკოლის მასწავლებელს თ. ნიჟარაძეს.

# ახალი ამბავი

**† დეკანოზი გრიგოლ პეტრიაშვილი**

კვირას, 17 ნოემბერს, დილის 7 საათზედ, დიდის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა დეკანოზი გრიგოლ მოსეს ძე პეტრიაშვილი. განსვენებული დეკანოზი ძლიერ უყვარდა თავის სამწყსოს და ცნობილ იყო, როგორც მშვიდი, წყნარი, გულკეთილი და ძლიერ პატიოსანი კაცი. საკვირველის სიმშვიდით ითმენდა, თურმე, განსვენებული მძიმე ავადმყოფობას. მთელი მისი სამწყსო და ნაცნობი მეტად შეაწუხა ამ სიკვდილმა.

დეკანოზი პეტრიაშვილი იყო ძმა ოდესის უნივერსიტეტის ცნობილის პროფესორის პეტრიაშვილისა. განსვენებულმა სწავლა დაამთავრა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. მღვდლათ ეკურთხა 1861 წელს. მას შემდეგ არა ერთხელ დასაჩუქრებულა მხნე და ერთგულ სამსახურისათვის, როგორც საქართველოს ექსარხოსისა, ისე თვით უწმინდესის სინოდის მიერ. დეკანოზობა მიიღო 1889 წელს. განსვენებულს მრავალი სხვა-და-სხვა თანამდებობა ებარა და ყოველივე გულ-მოდგინეთ და სამართლიანად შეუსრულებია.

განსვენებულს დღეს დაკრძალავენ პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

** **საყასბოს აშენება.** აგერ ოცი წელიწადი შესრულდა, რაც ქალაქის თვით-მმართველობა აპირობს კეთილ განწყობილის საყასბოს აშენებას და აქამდე ვერ მოუხერხებია. ჯერ მთელმა თხუთმეტმა წელმა გაიარა შესაფერ ადგილის ძებნაში, თუ სად უფრო ემჯობინება ახალ საყასბოს აშენებაო. ხან იმ აზრზედ დადგა საბჭო, რომ საყასბო ქალაქის შუაგულ ადგილზედ იქმნას აგებულიო, ხან იმაზედ, რომ ქალაქის განაპირას აჯობებსო. შუაგულ ადგილში ვერ იპოვნა ისეთი მამული, სადაც მოსახერხებელ იქმნებოდა ყველა საჭირო შენობების მოწყობა და საქონლის სავაჭრო მოედნის გამართვა, რომ ამასთანავე საძოვარიც ახლო ყოფილიყო, და არც მთავრობამ მისცა ნება, რადგან ხალხის ჯანმრთელობისათვის კარგი არ იქმნება ცენტრალი საყასბოვო. ვერც განაპირა ადგილებზე მოხერხდა შეთანხმება დიდ ხანს; ბოლოს, ამ ხუთის წლის წინედ, საბჭომ გადასწყვიტა უეჭველად ნათლულში გააკეთოს საყასბო. კიდეც შეუკვეთა მცოდნე კაცებს პროექტი და ეხლა სულყველაფერი მზადა აქვს. აკლია მხოლოდ თავისუფალი ფული 400,000 მანათამდე, მაგრამ აქაც ეხლახან აღმოჩნდა ერთი მდიდარი საზოგადოება საფრანგეთისა, რომელმაც გამგეობას მისცა წინადადება, რომ იგი თავისის ფულით ააშენებს საყასბოს და, რაც ხარჯი მოუვა, შემდეგ შეისრულებს ქალაქის კასიდამ. ამ წინადადებას მოკლე ხანში გასინჯავს გამგეობა და მერე წარუდგენს საბჭოს.

** **ქალაქის მესამე ბორანი.** ქალაქს ეხლა ორი ბორანი აქვს —ერთი მუხრანის ხიდსა და რიყის შუა, მეორე სატივოზედ. პირველი ბორანი აძლევს ქალაქს წელიწადში 7500 მანათს, ხოლო მეორე მარტო 400 მანათს. იჯარადარი მუხრანის ბორანისა ეხლა სთხოვს ქალაქის გამგეობას—ნება მომეცი ბორანი გავაკეთო მუშტაიდთან არტილერიის კაზარმებისაკენ და წელიწადში 50 მანათს მოგცემო. ვადა ხუთის წლით იყოსო, მე თვითონ გავმართამ საქმეს, გავაკეთებ ბორანს, ვიყიდი ფოლადის ჯაჭვებს და ყოველ ხარჯს მე ვიკისრებო, მხოლოდ უფლება მქონდეს, უკეთუ საქმე რიგიანად არ წავა და ზარალის მეტს ვერას ვნახავ, დავკეტო ბორანი და აღარც იჯარა ვაძლიო ქალაქსაო. გამგეობამ განიხილა ეს სათხოვარი და განზრახვა აქვს ხსენებულ პირობებზედ მისცეს უფლება იჯარადარს კიურეგოვს მესამე ბორანის გაკეთებისა. ჩვენის მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბორანი მეტად სახერხო ადგილას იქმნება და მუშტაიდის მოსეირნე ხალხი უეჭველად ისარგებლებს ამ ბორანით, რადგან ქალაქიდამ მსურველს შეეძლება პირ-და პირ დიღმის მინდორზედ გასვლა და სეირნობა. უეჭველია, ბორანს დიდი შემოსავალი ექმნება და ქალაქმა ასე იეფად არავის უნდა დაუთმოს მისი გამართვა.

** სახელმწიფო თეატრის დირექციას მოუწვევია ახალ-თეატრში მომღერლად ცნობილი ტენორი აგულინო.

**დედათა პირველ გიმნაზიის** დირექტორად ინიშნება ბ-ნი შულგინი, კლასიკურ გიმნაზიის ინსპექტორად ნამყოფი.

** **რეალური სასწავლებელი ქუთაისში.** პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ სახელმწიფო საბჭოში ამ დღეებში განხილულ იქნება წინადადება შესახებ ქუთაისის ოთხ-კლასიან პროგიმნაზიის გადაკეთებისა მომავალის წლიდან რეალურ სასწავლებლად.

** **ქართული ხორო.** ჩვენი დრამატიული თეატრი აარსებს ქართულს ხოროს, მმართველად და ლოტბარად მოუწვევიათ პეტერბურგისა და ვარშავის კონსერვატორიებში ნასწავლი მემუსიკე ა. ნ. ყარაშვილი.

** **საქველმოქმედო წარმოდგენა ქუთაისში.** 21 ნოემბერს ქუთაისში დანიშნულია ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით. წარმოადგენენ ხუთ მოქმედებიან დრამას „და ტერეზია“ (ანუ „მონასტრის ზღუდეთა შორის“). სთამაშობენ მხოლოდ ქუთათური სცენის მოყვარენი მაღალ საზოგადოებიდგან. ამ წარმოდგენისათვის ტფილისიდგან მიუწვევიათ რეჟისორად კოტე მესხი, რომელიც დღეს კიდეც გამგზავრებულა ქუთაისს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებულ წარმოდგენას ქუთათურები სიამოვნებით დაესწრებიან, მით უფრო, რომ შემოსავალი წარმოდგენიდგან დანიშნულია ფრიად სიმპატიურ საგნისათვის.

** **პურის გასალეწი მანქანა** მოუგონია ქუთაისის მცხოვრებს ი. ს. მამაჯანოვს და მიუმართავს თხოვნით კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის მანქანა გასინჯეთო. საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ (ს. ხოჯაევი, ნ. კურნალი, თავ. ი. წულუკიძე და გ. ჯაფარიძე) გასინჯა მანქანა და დარწმუნდა, რომ იგი მშვენივრადა ლეწავს პურს და იმავე დროს არჩევს ბზეს. ამ მანქანას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის ქვეყნისათვის.

** **პოლიციის შესანახი ხარჯი.** ამ ჟამად აქიერ კავკასიის გუბერნატორებს ბჭობა აქვთ იმაზედ, რომ მაზრის ქალაქებსაც გადაახდევინონ ფული ადგილობრივ პოლიციის შესანახად.

** **კავკასიის გზაზედ** საშინელი ნამქერია, გუდაურისაკენ გზა შეკრულია ზვავებით. ყაზბეგთან ნახევარ არშინი თოვლია. რუსეთის ფოსტა გზაში მოემწყვდა.

** **უნივერსიტეტების ხარჯი.** ყველაზე ძვირად უჯდება ხაზინას მოსკოვის უნივერსიტეტის შენახვა. წელიწადში იხარჯება ამ უნივერსიტეტზედ—945 ათისი მანათი. სამხედრო-სამკურნალო აკადემიაზედ იხარჯება 530 ათასი. პეტერბურგის უნივერსიტეტზედ 407 ათასი, წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტზედ 380 ათასი, ოდესისაზე 255 ათასი და სხვ.

სასტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, რომ 1896 წელს ერთის სტუდენტის სწავლის დამთავრება პეტერბურგის უნივერსიტეტს დასჯდომია 930 მ., ხარკოვისას—1928 მ., მოსკოვისას—1442 მ., ინჟენერთა ინსტიტუტში 1636 ს., სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში—4315 მ., და პეტერბურგის საისტორიო—საფილოლოგიო ინსტიტუტში 10,664 მ.

** **საავადმყოფო ხარჯის თაობაზე.** ქალაქის გამგეობას ექიმ რაზამატისათვის მიუნდვია შეკრიბოს საჭირო სასტატისტიკო ცნობები საავადმყოფო ხარჯის შემოღებისათვის ქალაქ ტფილისში.

** **ფინანსთა მინისტრმა** ვიტემ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს თხოვნა, გადადებულ იქმნას კიდევ 162,500 მანათი ხარჯის ამკრეფ ინსპექტორებისა და მათის თანაშემწეებისთვისო.

** **უწესოებანი ქალაქის სამკურნალოში.** გაზეთ «ტფილისის ფურცელში» დაბეჭდილია შემდეგი: „სამკურნალოში ყოველ დღე მოდის რჩევისათვის ას-ორმოც-და-ათამდე ავადმყოფი. ამოდენა ხალხი ნება უნებლიედ იძულებულია ორის და სამის საათობით უკადოს ხოლმე ექიმებს სამკურნალოს ვიწრო მისაღებ ოთახში. ექიმები თავის დროზედ არ მიდიან სამკურნალოში, და ზოგნი კი სრულებითაც არ გამოჩნდებიან მთელს დღეს; ხოლო ავადმყოფნი კი უცდიან და პატრონიც არავინ არის, რომ დროზედ შეატყობინოს მაინც ავადმყოფთ, რომ ეს და ეს ექიმი დღეს არ იქნებაო. საკვირველია, რომ ბავშვების მისაღებად დანიშნულია სამკურნალოში ნაშუადღევის პირველი საათი, როცა ღარიბ და შეუძლებელ მშობლებს ძლიერ უჭირს და ვერც ეხერხება ამ დროს სამკურნალოში მოსვლა. ხშირად ისე მოხდება, რომ ორი სამი დღეც დადის საცოდავი ბავშვის მშობელი და ექიმი მაინც არ მოდის. ამის მაგალითებიც ბევრია. ამ დღეებში ამ რიგად მოხეტიალე მშობელს, თურმე, უჩვენებია მესამე თუ მეოთხე დღეს ავადმყოფი ბავშვი და ექიმს გულგრილად გამოუცხადებია თავზარ დაცემულ მშობლისათვის, რომ ბავშვი უკვე გარდაცვლილაო, კარგი იქნებოდაო, უმატებს წერილის ავტორი, რომ ექიმს ისიც ეუწყებინა საბრალო მშობლისათვის, რომ ბავში გარდაიცვალა ექიმის ძებნასა და ლოდინშიო!“

** **ყოველ-დღიურ საქმობის შემცირება რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის.** გზათა სამინისტროში ამ ჟამად ირჩევა იმის წესდება, თუ როგორ შემცირდეს რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის საყოველ-დღეო საქმობა, რადგან, როგორც დამტკიცდა, მომეტებულად უბედური შემთხვევები რკინის გზებზე პირდაპირი შედეგია მოსამსახურეთა ნამეტანის ჯაფისა და მოქანცვისაო.

** **საავარაკო ადგილების დარიგება მცხეთის მიდამოში.** სახელმწიფო ქონებათა მმართველობას მიწისმზომელ ბ-ნ ავალიანისათვის დაუვალებია, რომ მან გადასცეს ამიერკავკასიის რკინის გზის მმართველობას სახელმწიფო ადგილები მცხეთასთან. ამ ადგილებს მერე დაურიგებენ ყველა მსურველთ საავარაკოთ. წესი მიწის უსასყიდლოდ დარიგებისა გამოკვლეულ იქმნება გზათა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შეთანხმებით ერთიმეორესთან.

*** **შავი-ქვის ახალი მადნები** გამოჩენილა ქუთაისის გუბერნიაში, ორ ადგილას. სენაკის მაზრის სოფ. გორდის ახლოს, თავ. ჩიქოვანების მამულში და ამავე მაზრის სოფ. ბანძას ახლოს, თავ. ფაღავას მამულებში. ამ მამულების პატრონებს უკვე პირობები შეუკრავთ უცხოელებთან შავი-ქვის წარმოებისათვის.

*** გუშინ-წინდელს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ქვემო-ქიზიყის „ავადმყოფთა ქსენონის“ შესახებ; მსურველს ექიმს დაწვრილებითი ცნობების შესატყობად შეუძლიან მიჰმართოს: Сигнахъ. Квемо-Мачхани, Д. Надирадзе.

*** **მეირფასი ხელთ-ნაწერება** შეუძენია კავკავის მუზეის. მუზეის ამჟამად ხელთ აქვს შამილის წერილები, მიწერილი თავის ნაიბებთან. ხამხინის საზოგადოებამ წარუდგინა მუზეის ოთხი ეტრათი, რომლებზედ ფსალმუნი სწერია. მკოდნე კაცები ამბობენ, რომ ეს ეტრათები მეცხრე საუკუნეს ეკუთვნისო.

ოსეთში ეხლაც მოიპოვება მრავალი გუჯრები. საჭიროა, მუზეის მმართველებმა ყოველ-გვარი ღონე იღონონ და ეს გუჯრები შეიძინონ,

*** **ცხენის რკინის გზის მსახურთა თავგასულობა.** ქალაქისაგან ამორჩეული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს თვალ ყური ადევნოს ცხენის რკინის გზის წესიერებას, ბევრსა ცდილობს, რომ ბოლო მოუღოს ამათ თავგასულობას, მაგრამ ვერას გახდა. გუშინ, თურმე, ერთი კონდუქტორი ხალხს ძველ ბილეთებს აძლევდა და არა გვგონია, რომ ეს გარემოება კონტროლიორსაც არ სცოდნოდა. ურიგო არ იქნება, რომ ხსენებულ კომისიამ ყველა უმთავრესს სადგურებზე შემოიღოს, ეგრედ წოდებული, „საჩივრის დავთარი“, სადაც ყველას შეეძლება საჩივარის ჩაწერა ცხენის რკინის გზის მოხელეთა უწესოებაზე.

*** **ყალბი ჩეკი.** გუშინ წინ, ნაშუადღევის 2 სათზე, ფრიდონოვების ბანკში მივიდა ყაზახის მცხოვრები კარაპეტ ამიროვი, წარუდგინა მილილოვების სავაჭრო სახლის ჩეკი 26,500 მანათისა და ეს ფული მოითხოვა. ბანკში ჩეკი გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ ჩეკი ბუჰგალტერის მიერ ხელ მოწერილი არ იყო. გარდა ამისა ჩეკი 30 ნოემბერის რიცხვით იყო დაწერილი. ბანკის მოსამსახურეთ ეჭვი აიღეს, ჩეკი ყალბიაო და ტელეფონით დაეკითხნენ ძმათა მილილოვების სავაჭრო სახლს, ამ გვარი ჩეკი მოგვიტანესო. იქიდგან უპასუხეს, ჩეკი ყალბია და ფული არ მისცეთო. ცოტა ხანს შემდეგ ბანკში მოვიდა თითონ მილილოვი, გასინჯა ჩეკი და შემდეგი აღმოჩნდა: სხვა ჩეკის წერის დროს ბუჰგალტერს შეცდომა მოსვლია; შეცდომით დაწერილი ჩეკი ამოუხევია წიგნიდგან და იქვე სტოლზედ დაუგდია. ეს ჩეკი ზემოხსენებულ კაცს შეცდომით ჩავარდნია ხელში და ბანკში წარუდგენია. კარაპეტ ამიროვი დააპატიმრეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს.

*** **ქსნის ხეობა:** სრულიად მოულოდნელად დაიწყო თოვა. ასე ადრეულ ზამთრის დადგომას არავინ ელოდა და, მოუმზადებელთ ზამთრისათვის, თავზარი დაგვცა. კვლავ ქრისტეშობისთვის დამდეგამდე თოვლი არ ჩამოუყრია და სრული ძალ-ღონე შეგვრჩენია გიორგობისთვეში, შევჰვემუშავებინა ვენახები, რომლებიც ახლა ჯერ არა თუ არ შეგვიმუშავებია, არამედ სხვა-და-სხვა საქმეების გადამკიდე, როგორც, მაგალითად, ნაგვიანები ხვნა-ფარცხვა—არც-კი მოგვიგონებია, რომ სხვლის გარდა ვაზი მაინც აგვეშვა, რომ ზედ სასტიკ სიცივეს არ მოესწრო. თოვლის მოსვლა იქონიებს გავლენას ვაზზედო, ამბობენ გამოცდილნი მიწათ მომქმედნი, რომლებიც, უკმაყოფილონი ამ მოვლენით, გაოცებით აქნევენ თავს, მით უმეტეს, რომ თოვლი საკმარისად ჩამოყარა და აი ოთხი დღით დამდგარ თბილმა დღეებმა ვერც კი შესძლო მისი აღება. მაგრამ, ვენახების შეუმუშავებლობა თავისთვის იყოს, კი ვერ მოგვისწრია ზამთრისათვის საკმარი პურის დაფქვა. გარდა იმისა, რომ მომავალ წლისათვის შეგვიმცირებს ვაზის მოსავალს, რაც მოსალოდნელია ყინვების დაჭერით. სხვაფრივაც ბევრ ბრჭყალს გაგკვრავს და ბევრ საქონელსაც ააბლავლებს საჭმელის შემოლევის გამო, რადგან წრევანდელ მცირე მოსავალთან ხანგრძლივ ზამთარისთვის სამყოფი საქონლის საჭმელიც არ მოგვდევს.

*** **სკოლა დედათათვის** არსდება მილანში (იტალია). ამ სკოლაში მიიღებიან ქმრიანი და 17 წელს გადაცილებული გასათხოვარი ქალები. სკოლაში ასწავლიან ოთხშაბათობით და კვირაობით შემდეგ საგნებს: ბავშვის მოვლას, აღზრდას, ცოლქმართა უფლებას და სხვ.

*** **ასის წლის იუბილეი** იდღესასწაულა ბროკჰაუზის საენციკლოპედიო ლექსიკონმა. ამ შემთხვევის გამო დაიბეჭდა სურათებიანი ბროშიურა, რომელშიაც აღწერილია, რა დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამ ლექსიკონს.

*** **გაზეთ „ნოვ. ობოზ.“** დეპეშა. „სპარსეთის ელჩს სტამბოლში ალა-ულ-მულქ-მირზა-მაჰმუთ-ხანს უმაღლეს თანამდებობას აძლევენ, ხოლო მის ადგილზედ დანიშნულ იქნება სპარსეთის დესპანი პეტერბურგში, ტფილისის ელჩად ნამყოფი, არფაი-დოვლე მირზა-რიზა ხანი“.

*** **გაქცეული პრინცესა.** იტალიაში სცხოვრობს დონ-კარლოსი ბურბონელი, რომელსაც იმედი აქვს ოდესმე ესპანიის ტახტზედ ავიდეს. დონ-კარლოსი სცდილობს თავისი ქალები ისეთ დიდებულ კაცებს მიათხოვოს, ვინც შეიძლებს მის დახმარებას ესპანიის ტახტზედ ასასვლელად. ხოლო ბედმა სულ სხვა ამბავი არგუნა. დონ-კარლოსის უმცროსს ქალს პრინცესა ელვირა-მარია-ტერეზა-გენრიეტას შეუყვარდა იტალიელი მხატვარი ფოლკი და თან გაჰყვა საფრანგეთში. ფოლკი თურმე ცოლიანი კაცია და ორი შვილიცა ჰყავს.

ეს ამბავი მეტად საყურადღებოა. დონ-კარლოსმა ფოლკის ჩააბარა სურათების დახატვა თავის სასახლეში. ფოლკიმ აქ გაიცნო პრინცესა, რომელსაც ძლიერ შეუყვარდა. დონ-კარლოსმა პრინცესა გაგზავნა რომში, თავად მასინოსთან; ფოლკიც იქვე წავიდა და მოიტაცა სატრფო. გაქცეულს პრინცესას თან წაუღია 300,000 ფრანკის ბრილიანტები.

დონ-კარლოსმა წერილით მიჰმართა თავის ნათესავებს და მომხრეებს, ჩემი გაქცეული ქალი მკვდრად ჩასთვალეთ და შეევედრეთ უფალს მისის ცოდვილის სულის საცხონებლადო.

## პოლიციის მატიანე

16 გიორგობისთვეს მადათოვის კუნძულზედ, კერესელიძის ტრაქტირში, ღამის 3 საათზედ, ჩხუბი მოუვიდათ ქუთაისის მცხოვრებელს იოსებ ეფრემიძეს და რაჭის მაზრაში მცხოვრებელს გლეხს ლუკა ისაკაძეს, რომელიც გათავდა სისხლის ღვრით. ისაკაძემ ეფრემიძე დასჭრა ჯიბის დანით ექვს ალაგას. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმის შემოწმებით, ჭრილობები არ არიან საშიშნი. ისაკაძე მაშინვე გაიქცა და მიიმალა. გამოძიება სწარმოებს. დამნაშავის დასაჭერად ზომებია მიღებული.

—

18 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, აზნაურმა არტემ არეშოვმა განაცხადა პოლიციაში, 17 ნოემბერს დუქანი გამიტეხეს და წაიღეს ტანთ-საცმელი და საქონელი 70 მანათისა. გამოძიება სწარმოებს.

—

18 ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ალექსანდრეს ეკკლესიის ყარაული პეტრე ივანეს ძე ლემეშკინი.

## რკინის გზის ამბები.

—

ამ თვის 16-ს, ღამით, ქობულეთსა და ჩაქვას შუა 35-ე ვერსტზედ ბარგის მატარებელს მოხსნია, თურმე, შვიდი ვაგონი და შუა გზაზე დარჩენილა. არც მაშინისტს და არც სხვას ვისმე ვერ შეუტყვიათ, რომ ვაგონები მოხსნილან და არხეინად მისულა მატარებელი ჩაქვაში. ხოლო აქ შეუმჩნევიათ, რომ შვიდი ვაგონი აკლდა და მყისვე ორთქლის მანქანა უკან გაუგზავნიათ და 73-ე ვერსტზე უპოვნიათ გზაზე დარჩენილი ვაგონები, და ისიც ყარაულს ლუკა ხენდავაძეს მიუსწავლებია. უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ ერთი ნავთის ცისტერნი დაზიანებულა.

—

ქიათურის გზაზე 26-ე ვერსტზე ამ თვის 17-ს დიდი წვიმისა და ნიაღვრის გამო ჩამოქცეულა ხიდთან მიწა. სანამ გზას გაასწორებდენ მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულ იყო, თურმე, რამდენიმე საათით.

## სასამართლოს მატიანე.

—

### ბათომი.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია ბათომში შემდეგი საქმე.

ზემო-აჭარის სოფ. ხულოში სცხოვრობს ვინმე კუკულიშიჰ-ოღლი თავის ცოლით ფერუზათი.

1895 წელს, ივლისში კუკულა სადღაც წავიდა სოფლიდგან. ამ შემთხვევით ისარგებლა იმავე სოფლის მცხოვრებმა ემინ დურსუნ-ოღლი-ვანაურ ოღლიმ და მთელ ოთხ ღამეს ზედიზედ მიდიოდა კუკულას სახლში, ფანჯრიდგან სიყვარულს უცხადებდა ფერუზას და ემუდარებოდა, სახლში შემიშვიო. ფერუზა უარზედ იდგა.

20 ივლისის ღამეს ემინი კვლავ მივიდა ფერუზასთან, ხანჯლის წვერით ასწია ფანჯრის ჩარჩო, გაყო ფანჯრისავე მოაჯირში ხელი და სტაცა ფეხში ფერუზას, რომელიც ფანჯარასთან იწვა. ემინი სთხოვდა ფერუზას სახლში შემიშვიო. ფერუზას ძლიერ ეშინოდა ემინისა და ლოგინში მზად ჰქონდა თოფი.

— გამიშვი, შეჰყვირა ფერუზამ, თორემ ეხლავე მოგკლამ.

ემინმა ხელი არ გაუშვა. გაისმა თოფის გრიალი და ემინი მკვდარი დაეცა ძირს. ტყვია შიგ გულში მოხვედრიყო...

ეს საქმე სასამართლოში არ უნდა გადაცემულიყო და გამომძიებელს უნდა მოესპო, მაგრამ ემინის ძმამ შეატყობინა პროკურორს, ჩემი ძმა ფერუზამ კი არა, მისმა საყვარელმა ისკანდერ-ოღლიმ მოჰკლაო.

პროკურორი ითხოვდა, ფერუზა სასტიკად დაისაჯოსო. ბრალდებულს ვექილი არა ჰყავდა, მაგრამ თითონ ძლიერ კარგად იცავდა თავს. სხვათა შორის მან სთქვა, მე ძლიერ კარგად შემიძლიან ყველა იარაღის ხმარება; მართალია, მიზანში კარგად ვერ ვესვრი, მაგრამ პატიოსნებას დასაცველად-კი ძნელად გავაცდენო.

სასამართლომ ფერუზა გაამართლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკი ამით აცხადებს, რომ 43-მე ტირაჟში, რომელიც ამ წლის 8 ნოემბერს მოხდა, 6% და 5% ბანკის გირავნობის ფურცლებისა შემდეგი ნომრები ამოვიდნენ.

1. 6% გირავნობის ფურცლები 1881 წლის 1 იანვრამდე გამოცემულნი (თანხმად 1874 წლის 28 მაისის წესდებისა—ერთმანერთის უთავდებოთ.)

6% გირავნობის ფურცლები.

ას მანათიანი.

$27\frac{1}{2}$ წლით

2 სერ. №№ 112, 131, 171.
11 სერ. №№ 166, 263.

$43\frac{1}{2}$ წლით

7 სერ. № 41.
8 სერ. № 316.
9 სერ. №№ 287, 304.
11 სერ. №№ 52, 97.

$54\frac{1}{2}$ წლით

2 სერ. № 67.
5 სერ. №№ 85, 88, 126, 146, 195.

ხუთას მანათიანი.

$27\frac{1}{2}$ წლით

3 სერ. № 124.
4 სერ. № 92.

$43\frac{1}{2}$ წლით

9 სერ. № 80.

$54\frac{1}{2}$ წლით

2 სერ. № 18.
4 სერ. № 57.
5 სერ. №№ 2, 4, 16, 65, 95, 133, 170.

ათას მანათიანი

$27\frac{1}{2}$ წლით

4 სერ. № 9.
11 სერ. № 18.

$54\frac{1}{2}$ წლით

1 სერ. №№ 10 და 13.
2 სერ. №№ 12, 17, 18, 23, 33.
4 სერ. № 2.
5 სერ. № 24.

6% გირავნობის ფურცლები 1881 წლის 1 იანვრიდგან გამოცემულნი (თანხმად 1881 წ. 17 თებერვლის წესდებისა—საურთიერთო თავდებობით).

ას მანათიანი

$27\frac{1}{2}$ წლით

1 სერ. №№ 1, 2, 7, 12, 16, 37, 41, 47, 52, 57, 64, 79, 83, 89, 93, 95, 99, 100, 104, 106, 107, 117, 121, 129, 132, 146, 147, 149, 151, 152, 156, 158, 159, 162, 170, 173, 174, 176, 180, 182, 189, 235, 253.
2 სერ. №№ 42, 205, 262.
4 სერ. № 116.
7 სერ. №№ 114, 149, 274, 280.
9 სერ. №№ 8, 17, 43, 64.
10 სერ. № 24.
12 სერ. №№ 2, 52.
13 სერ. №№ 33, 186, 197, 963.
14 სერ. №№ 26, 35, 75, 78, 84.
15 სერ. №№ 21, 611.
16 სერ. №№ 104, 160, 209, 315.
17 სერ. №№ 101, 130, 220.
18 სერ. №№ 59, 77.
19 სერ. № 49.
20 სერ. №№ 168, 177, 248, 320, 341.
21 სერ. №№ 28, 30.

$43\frac{1}{2}$ წლით

3 სერ. №№ 74, 75, 101, 106.
4 სერ. № 21.
5 სერ. №№ 83, 135.
6 სერ. №№ 2, 7, 11, 42, 65, 88.
7 სერ. №№ 46, 49, 88.
8 სერ. №№ 92, 215, 309, 358.
9 სერ. № 34.
10 სერ. № 1.
16 სერ. № 1.
17 სერ. №№ 3, 5, 6, 9.
18 სერ. №№ 4, 21, 39, 50, 51, 53.
19 სერ. №№ 29, 46, 49, 51.
20 სერ. №№ 22, 125.
21 სერ. № 67.

ას ორმოც-და-ათ მანათიანი

$27\frac{1}{2}$ წლით

1 სერ. №№ 1, 2, 4, 6, 10, 14, 16, 17, 20, 22, 23, 25, 26, 27, 33, 37, 41, 42, 43, 45, 47, 48.

ხუთას მანათიანი

$27\frac{1}{2}$ წლით

1 სერ. №№ 5, 7, 13, 30, 54, 58, 60, 84, 94.
2 სერ. №№ 7, 25, 32, 35, 51, 72, 77, 78, 81, 83, 95, 101, 104, 106, 115, 131, 137, 140, 141, 142, 148.
4 სერ. №№ 11, 40.
6 სერ. № 2.
7 სერ. № 39.
9 სერ. № 9.
11 სერ. № 28.
12 სერ. № 13.
14 სერ. №№ 5, 16, 18.
15 სერ. №№ 111.
18 სერ. № 198.
20 სერ. № 125.

$43\frac{1}{2}$ წლით

4 სერ. № 34.
5 სერ. № 38.
7 სერ. № 26.
8 სერ. №№ 37, 48.
9 სერ. № 17.
10 სერ. № 9.
13 სერ. № 1.
14 სერ. № 11.
15 სერ. № 13.
16 სერ. № 22.
18 სერ. №№ 7, 36.
20 სერ. № 4.

ათას მანათიანი

$27\frac{1}{2}$ წლით

2 სერ. № 640.
3 სერ. №№ 9, 27, 47, 70.
5 სერ. № 19.
7 სერ. № 237.
9 სერ. № 38.
11 სერ. №№ 112, 134.
13 სერ. №№ 20, 59, 87, 129.
16 სერ. №№ 21, 42.
17 სერ. №№ 53, 238, 336.
18 სერ. №№ 10, 72, 157, 182, 239, 240, 267, 294, 299, 301, 323, 344, 371, 457, 523, 526, 535, 571, 617, 623, 631, 642, 655, 682, 692.
19 სერ. №№ 74, 99, 114, 160, 168, 173, 181, 186, 191, 266, 267, 293, 334, 335, 381, 426, 432, 437, 445, 459, 462, 501, 508.
20 სერ. №№ 75, 173, 305, 310, 341.
21 სერ. №№ 25, 26, 42, 76, 115, 255.

$43\frac{1}{2}$ წლით.

2 სერ. №№ 29, 40, 59, 67.
3 სერ. №№ 11, 12, 15, 19, 34, 48, 79, 82, 88, 97, 100, 101.
8 სერ. №№ 20, 30, 34, 48, 55, 60, 62, 76, 85, 97, 109, 161, 171, 213, 235, 245, 255, 257, 276, 277, 281, 286.
11 სერ. № 15.
12 სერ. № 21.
17 სერ. №№ 2, 34, 40.
18 სერ. № 108.
19 სერ. № 102.
21 სერ. № 53.
22 სერ. №№ 4, 7.

2) 5% გირავნობის ფურცლები 1891 წლისა, 1 ივლისიდგან გამოცემულნი (თანახმად 1881 წ. 17 თებერვლის წესდებისა—საურთიერთო თავდებობით)

ას მანათიანი.

36 წლით და 4 თვით.

№№ 209, 618, 1151, 1554.

29 წლ. და 9 თვ.

№№ 44, 46, 70.

61 წლ. და 8 თვ.

№№ 963, 1018.

უვადო.

№№ 719, 4791.

ხუთას მანათიანი.

36 წლ. და 4 თვ.

№ 720.

უვადო.

№№ 751, 1757, 1924, 2305, 3429, 3609, 3680, 3884.

ათას მანათიანი.

36 წლ. და 4 თვ.

№№ 209, 298, 458, 800, 888, 1033.

უვადო.

№№ 375, 437, 463, 1645, 1940, 2081, 2232, 2429, 2505, 2561, 2580, 2581, 2582, 2746, 2845, 2848, 2942, 2981, 2982, 3082, 3207, 3406, 3454, 3481, 3507, 3578, 3672, 4267, 4535, 4594, 4752, 4753, 4754, 4755, 4756, 4779, 4780, 4782, 5304, 5323, 5348, 5411, 5413, 5607, 5732, 5733, 6697, 7213, 7215, 7216, 7222, 7255, 7574, 7609, 8154, 8155, 8156, 8159, 8160, 8499, 8573, 8800, 10041, 10098, 10115, 10116, 10132, 10190, 10289, 10290, 10291, 10295, 10519, 10520, 10602, 10603, 10926, 11084, 11196, 11199, 11318, 11712, 11715, 11833, 11979, 12020, 12128, 12344, 12351, 12352, 12564, 12573, 12664, 12695, 12716, 12856, 12892, 13010, 13053, 13054, 13096, 13168, 13174, 13230, 13257, 13258, 13345, 13371, 13373, 13531, 13635, 13646, 13797.

43-მე ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზე სარგებლის ძლევა მოისპობა 1 იანვრიდგან 1897 წლისა. ზემოხსენებულ გირავნობის ფურცლების განაღდება დაიწყება 1 იანვრიდგან 1897 წლისა, ხოლო ამ ვადაზე ადრე წარმოდგენილნი ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლების განაღდება შეიძლება განსაზღვრულ %-ის გამოკლებით.

იმ კუპონების ფასი, რომელნიც აკლდებათ წარმოდგენილ ფურცლებს, განაღდების დროს გამოაკლდება.

გირავნობის ფურცლების განაღდება შეიძლება: ქალ. ტფილისში ბანკის კასაში, ს.-პეტერბურგში: ს.-პეტერბურგის უჩეტისა და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებებში, ს.-პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, ს.-პეტერბურგის მსოფლიო კერძო კომერციულ ბანკში. ოდესაში ბ-ნ ო. ხაისთან, მოსკოვში: მოსკოვის უჩოტის ბანკში, მოსკოვის მსოფლიო სავაჭრო ბანკში და ყველა მის განყოფილებაში, ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში და ტაგანროგში—აზოვ-დონის კომერციულ ბანკში და ყველა მის განყოფილებაში, რიგაში რიგის კომერციულ ბანკში და ყველა მის განყოფილებაში და სახელმწიფო ბანკში და ყველა მის განყოფილებებში და კანტორებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიგ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია